

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1. ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს მიერ 2018-2019 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოკლე ანგარიში;
2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ოქტომბრის N204 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შემადგელობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

კომისიის სხდომის

ოქმი N1

ქ.ქობულეთი

28 მარტი 2019 წელი

სხდომა დაიწყო: 12-00 საათზე

დამთავრდა: 13-30 საათზე

სხდომას უძღვებოდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია

შაქარიშვილი;

სხდომას ესწრებოდა: რომან მოწყობილი, დავით წულუკიძე, მამია ჟორდანიას, ავთანდილ ანანიძე, იოსებ ჟღენტაძე, ქეთინო ქათამაძე, გურამ აბაშიძე, გიორგი ტაბიძე, ნარგიზ ჯინჭარაძე, ნანა კალანდაძე;

სხდომას არ ესწრებოდა: ლელა ვერულიძე, დავით მჭედლიშვილი, ნათია თხილაიშვილი, გიორგი გოგიტიძე, ვიტალი ქარცივაძე, ნარგიზ რომანაძე, ნაილე ლაზიშვილი, გაია მჭავანაძე, პაატა ცინარიძე;

სხდომას ესწრებოდნენ: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - დავით ვერულიძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში - აზა ბოლქვაძე;

ა(ა)იპ „მხარდაჭერა განსაკუთრებული საჭიროებებისათვის“ თავმჯდომარე - ნათია გოგიტიძე;

შ.შ.მ პირთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ მოხალისე - ნინო ნოღაიძე;

სხდომას ესწრებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში მარიამ ცეცხლაძე;

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის წარმოდგენილი საკითხები.

1. ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს მიერ 2018-2019 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოკლე ანგარიში;

(მომხსენებელი ლ.შაქარიშვილი)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ოქტომბრის N204 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შემადგელობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი ლ.შაქარიშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

1. ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს მიერ 2018-2019 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოკლე ანგარიშზე მოხენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2018 წლის 28 მარტს ის შეხვდა ახალგაზრდული სათათბიროს წევრებს პრეზენტაციით „გენდერული თანასწორობა და ქალის როლი პოლიტიკაში“.

2018 წლის 31 მაისს გენდერული საბჭოს მხარდაჭერით გაიმართა ბავშვთა განვითარების ცენტრის პროგრამის „მხარდაჭერა განსაკუთრებული საჭიროების ბავშვებისა და მშობლებისთვის“ პრეზენტაცია.

2018 წლის 20 აპრილს ასოციაცია „ერთმანეთისთვის“ პარტნიორობით, ქართულ-ესტონური პროექტის „აჭარის რეგიონში ქალთა და ბავშვთა უფლებების მხარდასაჭერად“ ფარგლებში, გაიმართა ტრენინგი „გენდერული თანასწორობა და ადამიანის უფლებები“, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტი თამარ დეკანოსიძე უძღვებოდა. ამავე ასოციაციასთან თანამშრომლობით, გენდერული თანასწორობის საბჭომ, „ესტონურ-ქართული გამოცდილების გაერთიანება ბავშვთა უფლებების დაცვისა და ქალთა მცირე მეწარმეობის მხარდაჭერითვის აჭარაში“ პროექტის ფარგლებში, 2018 წლის 19 დეკემბერს ორგანიზება გაუკეთა ტრენინგ-სემინარს ქობულეთელი მეწარმე და მეწარმეობის მსურველი ქალებისთვის, რომელსაც ესტონელი ექსპერტები რეტ ლაია - გენდერული თანასწორობის ევროპულ ინსტიტუტში ესტონეთის წარმომადგენელი, ქალთა მხარდაჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის კოორდინატორი და მარგო ოროპოლდი - ექსპერტი ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებში უძღვებოდნენ.

რაც შეეხება პროგრამის პროექტს „დავით ხახუტაიშვილისა და ნინო ჯავახიშვილის სახელობის წამახალისებელი სტიპენდია მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთათვის“, ამ პროგრამის საშუალებით, გარდა იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტთა სწავლის სურვილის წახალისება ხდება, ის რამდენიმე მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, ეხმაურება პროგრამული ბიუჯეტის თანამედროვე მოთხოვნას: სტიპენდიის გადანაწილებისას დაცულია თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის პრინციპი და გენდერული ასპექტი. სტიპენდიას მიიღებს 25 ვაჟი და 25 ქალი, თუმცა მთავარი საზომი კონკურსში მონაწილეთა აკადემიური მოსწრება არის.

ამავდროულად, სტიპენდიის სახელობითობა ახალგაზრდებს ახსენებს იმ ადამიანთა ღვაწლს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების საქმეში. ამ პროგრამის შემთხვევაშიც, მერიის პოზიცია დადებითია და მას ბიუჯეტში ასახავენ პირველივე ცვლილებებისას.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარის ლია შაქარიშვილის პროექტი „ეფექტური სლოგანი ნარჩენების მართვის თემაზე“ მოიწონა კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებამ (CENN), რომლის მხარდაჭერითაც გენდერული საბჭოს სახელით გამოცხადდა კონკურსი. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, ქალებისა და მამაკაცების საკონკურსო კომისიაში თანაბარი მონაწილეობით, ობიექტური გადაწყვეტილების მიღების პრევენდენტის შექმნას, მეორე მხრივ, კონკურსის საშუალებით მოსახლეობის ფართო მასებში გარემოს დაცვის თემის პოპულარობის გაზრდას. გამარჯვებულები მიიღებენ პრიზებს.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილი რამდენიმე წელია თანამშრომლობს საქართველოს ფერმერ ქალთა ასოციაციასთან, რომელიც გაეროს პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ მოქმედებს და ამ გზით ხელს უწყობს ქობულეთელი და აჭარაში მცხოვრები ქალების ჩართვას ქვეყანაში მოქმედ პროგრამებში მათი ეკონომიკური გაძლიერების მიზნით. ამ მიმართულებით ლია შაქარიშვილის ორგანიზებით გამართულია საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფესიული კავშირის და ფერმერ ქალთა ასოციაციასთან თანამშრომლობით 2018 წლის 14 მაისს, აჭარის სავაჭრო პალატაში ფერმერი ქალებისთვის საინფორმაციო შეხვედრა ევროკავშირთან თანამშრომლობის გზით მოსალოდნელ სარგებელსა და შესაძლებლობებზე .

გენდერული თანასწორობის საბჭოს ეგიდით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანების და USAID-ის პროექტის „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში-ფაზა 2“ ფარგლებში, ორგანიზება გაუკეთა კონკურსს „ეფექტური სლოგანი ნარჩენების მართვის თემაზე“. კონკურსის ჟიური შემდგარი იყო ქალებისა და მამაკაცების თანაბარი რაოდენობით, კონკურსისთვის შექმნილი ობიექტური პირობებით. პარტნიორი ორგანიზაცია უკვე ამზადებს ბანერს გამარჯვებული სლოგანისთვის, რომელიც ქალაქის თვალსაჩინო ადგილას დაიდგმება.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების გაწეული სამსახურის ანგარიშის საკითხის ცნობად მიღება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ოქტომბრის N204 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შემადგელობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - მოხენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მერიიდან გენდერული კუთხით წარმოდგენილი კანდიდატი - გიორგი ტაბიძე გადავიდა სხვა სამსახურში და მის ნაცვალდ მერიიდან წარმოდგენილ იქნება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში - აზა ბოლქვაძე, ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოში გაწევრიანების სურვილი გამოთქვეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ - დავით ვერულიძემ, ა(ა)იპ „მხარდაჭერა განსაკუთრებული საჭიროებებისათვის“ თავმჯდომარე - ნათია გოგიტიძემ და შ.შ.მ პირთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ მოხალისემ - ნინო ნოლაიდელმა.

გურამ აბაშიძე - სასურველია მივცეთ მერიას რეკომენდაცია, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში სპეციალისტი იყოს ცალკე-ცალკე მიმართულებად.

შ.შ.მ პირთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის“ მოხალისემ ნინო ნოლაიდელმა აღნიშნა, რომ მას აუცილებლად ექნება ინიციატივები შ.შ.მ პირებთან დაკავშირებით ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად.

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ ლია შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ში წევრების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

ქობულეთის მუნიციპალური გენდერული

თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

ლ. შაქარიშვილი